

სს „EU Investments“

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება.....	4

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. ფუნქციონირებადი საწარმო	5
3. მომზადების საფუძველი.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	7
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	15
6. ძირითადი საშუალებები.....	16
7. სხვა დებიტორული დავალიანებები.....	17
8. კაპიტალი	18
9. ნასესხები სახსრები.....	19
10. წმინდა საკუთსო ზარალი.....	19
11. პირობითი ვალდებულებები	19
12. ფინანსური ინსტრუმენტები.....	20
13. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	23
14. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „EU Investments“-ის ხელმძღვანელებს და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „EU Investments“-ის (შემდგომში „კომპანია“) განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგებისგან, და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია, გარდა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გამოშვებული აუდიტორის დასკვნისა

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2019 ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აქციონერების პასუხისმგებლობა განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აქციონერები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



აქციონერებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 30 სექტემბერი


ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	122,893	134,349
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	7	7,815	32,831
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>130,708</u>	<u>167,180</u>
მიმდინარე აქტივები			
სხვა დებიტორული დავალიანებები	7	25,016	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		614	328
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		<u>180</u>	<u>52</u>
სულ მიმდინარე აქტივები		<u>25,810</u>	<u>380</u>
სულ აქტივები		<u>156,518</u>	<u>167,560</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	-	-
დაგროვილი დანაკლისი		(157,858)	(120,189)
სულ კაპიტალი		<u>(157,858)</u>	<u>(120,189)</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	227,361	217,467
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>227,361</u>	<u>217,467</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	19,541	20,010
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები		765	680
მიღებული ავანსები	13	37,790	22,599
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	1	28,919	26,993
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>87,015</u>	<u>70,282</u>
სულ ვალდებულებები		<u>314,376</u>	<u>287,749</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>156,518</u>	<u>167,560</u>

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:


 ევრომ ურუმჯილი
 გენერალური დირექტორი


 იოსებ გოზადრევილი
 აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	122,893	134,349
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	7	7,815	32,831
სულ გრძელვადიანი აქტივები		130,708	167,180
მიმდინარე აქტივები			
სხვა დებიტორული დავალიანებები	7	25,016	–
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		614	328
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		180	52
სულ მიმდინარე აქტივები		25,810	380
სულ აქტივები		156,518	167,560
კაპიტალი	8		
საწესდებო კაპიტალი		–	–
დაგროვილი დანაკლისი		(157,858)	(120,189)
სულ კაპიტალი		(157,858)	(120,189)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	227,361	217,467
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		227,361	217,467
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	19,541	20,010
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები		765	680
მიღებული ავანსები	13	37,790	22,599
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	1	28,919	26,993
სულ მიმდინარე ვალდებულებები		87,015	70,282
სულ ვალდებულებები		314,376	287,749
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		156,518	167,560

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

ეფრემ ურუმაშვილი
გენერალური დირექტორი

იოსებ გოზალიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019	2018
საიჯარო შემოსავალი	13	23,094	20,670
სულ შემოსავალი		23,094	20,670
ცვეთა	6	(11,443)	(11,978)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,613)	(3,190)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(1,676)	(1,678)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	7	(336)	(148)
სხვა შემოსავალი		12	200
სხვა ხარჯები		(308)	(247)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		7,730	3,629
ფინანსური გარანტიის რეზერვის ამობრუნება		–	1,219
ფინანსური ხარჯები	9	(26,559)	(23,958)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	10	(18,840)	(8,870)
ზარალი მოგების გადასახადის გამოქვითვამდე		(37,669)	(27,980)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის ზარალი		(37,669)	(27,980)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(37,669)	(27,980)

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(92,209)	(92,209)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(27,980)	(27,980)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(120,189)	(120,189)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(37,669)	(37,669)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(157,858)	(157,858)

ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული იჯარიდან შემოსავალი		42,446	42,695
მიღებული პროცენტი		–	16
სხვა		12	170
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		42,458	42,881
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი პროცენტი	9	(22,064)	(24,064)
გადახდილი ხელფასები		(1,219)	(1,957)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(6,373)	(8,701)
გაწეული ადმინისტრაციული ხარჯები		(386)	(57)
გარანტიის გადახდა		–	(1,232)
სხვა		(36)	(24)
სულ საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(30,078)	(36,035)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		12,380	6,846
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	9	5,345	–
ნასესხები სახსრების დაფარვა	9	(17,675)	(6,861)
სულ ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(12,330)	(6,861)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		78	(1)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		128	(16)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		52	68
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		180	52

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „EU Investments“ 2016 წლის 10 აგვისტოს დაფუძნდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ძირითადი საშუალებების იჯარით გადაცემა მისი 100%-იანი შვილობილი კომპანიის - სს „რუსთავის აზოტისთვის“ (შემდგომში „შვილობილი კომპანია“), რომელიც აწარმოებს აზოტის სასუქებსა და ოქროს გამოტუტვის პროდუქტებს. შვილობილი კომპანიის მთავარი საექსპლუატაციო აქტივია რუსთავის აზოტის ქარხანა, რომელიც საქართველოს ქალაქ რუსთავში მდებარეობს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №2.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან ბატონი ეფრემ ურუმაშვილი, რომელიც კომპანიის აქციების 99%-ს ფლობს და ბატონი იოსებ გოზალიშვილი, რომელიც კომპანიის აქციების 1%-ს ფლობს.

კომპანიის დაფუძნება

2016 წლის 1 სექტემბერს კომპანიამ საჯარო აუქციონზე შეისყიდა შპს „რუსთავის აზოტის“ არსებითად ყველა მატერიალური აქტივი (სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები - რუსთავის აზოტის ქარხნის აქტივები). აქტივების შესყიდვა დაფინანსდა ქართული ფინანსური დაწესებულებისგან აღებული სესხით (მე-9 შენიშვნა).

2017 წლის 6 იანვარს რუსთავის აზოტის ქარხნის აქტივები სს „EU Investments“-მა იჯარით გადასცა თავის შვილობილ კომპანიას და ამ თარიღიდან კომპანიამ დაიწყო რუსთავის აზოტის ქარხნის ექსპლუატაცია თავისი შვილობილი კომპანიის მეშვეობით. სს „რუსთავის აზოტისგან“ ძირითადი საშუალებების იჯარასთან დაკავშირებით მიღებული შემოსავალი ასახულია 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის იჯარიდან შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ არ არის შპს „რუსთავის აზოტის“ სამართალმემკვიდრე და არც სამართლებრივი კავშირები აქვს მასთან ან მის ყოფილ მფლობელებთან, კომპანიის აქციონერებმა წარმოადგინეს ფინანსური გარანტიები კომერციული ბანკის მიმართ შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი აქციონერების გარკვეული სესხებისთვის. ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულების სამართლიანი ღირებულება 28,714 ლარად განისაზღვრა 2017 წლის 30 იანვარს (ხელშეკრულების გაფორმების თარიღში) და შემდგომი გადაფასებით 2018 წელს ღირებულება 28,919 ლარად (2018 წლის 31 დეკემბერი: 26,993 ლარი) განისაზღვრა, რომლის ეფექტი შესულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგების საკურსო ზარალის მუხლში.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 61,205 ლარით (2018 წ.: 69,902 ლარი) აღემატებოდა და მან გასწია ზარალი 37,669 ლარის (2018 წ.: 27,980 ლარი) ოდენობით, ამ თარიღით დასრულებული წლისთვის.

კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შპს „რუსთავის აზოტის“ აქტივებზე ამ აქტივების ყოფილი მფლობელების კრედიტორი ბანკის მიერ გამართული ღია აუქციონის შედეგად (1-ლი შენიშვნა). ყოფილი მფლობელების მიერ ბანკის წინაშე ვალდებულებების რამდენიმეჯერის შეუსრულებლობის გამო, ინიცირებულ იქნა აუქციონი. შპს „რუსთავის აზოტის“ აქტივების შესყიდვის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რათა გაუმჯობესებინა აქტივის ექსპლუატაცია, აღმოეფხვრა ნაკლოვანებები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები, გაუმჯობესებინა კორპორატიული მართვა და მიეღო სხვა ზომები წარსულში ქარხნის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეების დასაძლევად.

კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი შვილობილი კომპანიის მიერ საიჯარო ქირის და კომპანიისთვის სხვა განაწილების გადახდის უნარზეა დამოკიდებული, შესაბამისად, შვილობილი კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირებად საწარმოდ არსებობა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მიზანშეწონილობის შეფასება ეყრდნობა შემდეგ ფაქტებს, ხელმძღვანელობის გეგმებსა და ვარაუდებს:

- ▶ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს 28,919 ლარს (2018 წ.: 26,993 ლარი) ანარიცხებს შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების სასარგებლოდ გაცემული გარანტიისთვის (მე-11 შენიშვნა). ამ გარანტიის ფარგლებში კომერციულმა ბანკმა კომპანიას მოსთხოვა და 2018 წლის თებერვალში გადაიხადა 1,232 ლარი (0,5 მილიონი აშშ დოლარი). კომპანიამ კომერციული ბანკისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ამ გარანტიით გათვალისწინებული დანარჩენი თანხების ამოღებას დააპირებს, იგი ამ თანხების დაფარვას 6-წლიან პერიოდზე გადაანაწილებს. ვინაიდან წერილი არ არის იურიდიული ძალის მქონე, კომპანია აგრძელებს გარანტიის აღრიცხვას მიმდინარე ვალდებულებად; თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფაქტობრივი გადახდები გადავადდება 6-წლიანი პერიოდის განმავლობაში.
- ▶ 2019 წელს პროცენტის გადახდამდე კომპანიამ საოპერაციო საქმიანობებიდან მიიღო წმინდა ფულადი სახსრები 34,444 ლარს (2018 წ.: 30,910 ლარი) ოდენობით. საოპერაციო ფულადი ნაკადები პოზიტიურია და წლიდან წლამდე იზრდება. ხელმძღვანელობის მოლოდინით, წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული დადებითი ტენდენცია 2020 წელსაც გაგრძელდება.
- ▶ შვილობილი კომპანია ფუნქციონირებს სასუქი პროდუქტების ინდუსტრიაში. 2020 წლის იანვარ-სექტემბერში კორონავირუსის (კოვიდ-19) ეპიდემიის აფეთქების გამო (მე-14 შენიშვნა), 2019 წლის საშუალო ფასთან (აშშ დოლარში შეფასებული) შედარებით ამონიუმის ნიტრატის ბაზრის ფასის 11%-იანი კლების მიუხედავად, კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის, რომ ამონიუმის ნიტრატის ფასი სათანადოდ აიწევს იმ დონეზე ზემოთ, რომელიც შვილობილ კომპანიას საოპერაციო ხარჯების დაფარვის საშუალებას მისცემს, მათ შორის კომპანიისთვის საიჯარო გადასახდელების და საჭირო კაპიტალური დანახარჯების ჩათვლით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ შემდეგი ფაქტორები გაითვალისწინა:
 - ▶ აღიარებულმა სააგენტოების მიერ მომზადებული სასუქი პროდუქტების ინდუსტრიის ფასების პროგნოზები, რომლებიც ახდენენ სასუქი პროდუქტების ფასების პროექტირებას 2020-2021 წლებისთვის 5-20%-იან დონეზე, ხარჯდაფარვადობის ფასებზე მაღლა (რომელიც 2020 წლისთვის 2019 წლის ფაქტიურ წლიურ საშუალო ფასზე დაახლოებით 20%-ით ნაკლებია), ამონიუმის ნიტრატის ფასის 26%-იანი ზრდით გამყარდა 2020 წლის სექტემბერში, 2020 წლის ივნისთან შედარებით (ყველაზე დაბალი საშუალო საბაზრო ფასი 2020 წლის განმავლობაში);
 - ▶ 2020 წლის ივნისში სასუქების იმპორტის კვოტირების ინიციატივის უარყოფა შვილობილი კომპანიის ერთერთ მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარზე;
 - ▶ ლარის დაახლოებით 8%-იანი გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში 2020 წელს, რომელმაც შვილობილ კომპანიას ნაწილობრივ აუნაზღაურა ბაზრის ფასების კლების გავლენა, აშშ დოლარში შეფასებით.

ხელმძღვანელობის აზრით ზემოაღნიშნული ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა გააგრძელოს განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ყველა ეს განცხადება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

ეს განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

2020 წლის 24 ივლისს კომპანიამ გამოსცა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რომელიც ფასს-ების მიხედვით არის მომზადებული.

წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 16 *იჯარა*. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2019 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე: კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16 - „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“; ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს (IFRS) 16 არ აქვს გავლენა იმ იჯარებზე, რომელშიც კომპანია მეიჯარეა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 16 „იჯარები“, რასაც კომპანიის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია, რადგან კომპანია არ არის არსებითი საიჯარო ხელშეკრულების მხარე, როგორც მოიჯარე.

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიის საქმიანობის შესაბამისი ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: *საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით*;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: *„გემის შეცვლა, შეკვეცა ან საბოლოო ანგარიშსწორება“*;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში: *„გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში“*;
- ▶ ფასს-ის წლიური გაუმჯობესება – 2015-2017 წ.წ. ციკლი: ფასს (IFRS) 3 „*საწარმოთა გაერთიანება*“; ფასს (IFRS) 11 „*ერთობლივი საქმიანობა*“; ბასს (IAS) 12 „*მოგებიდან გადასახადები*“; ბასს (IAS) 23 „*ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები*“.

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სხვა დებიტორულ დავალიანებას და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან იკისრა მიღებული ფულადი ნაკადების არსებითი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის სრულად გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე 'ტრანსიტული' ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითი ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომელთა ფლობა არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, სესხებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვლილება

როდესაც სესხის არსებული პირობები იცვლება, კომპანია ატარებს იმის ანალიზს, თავდაპირველი სესხი ჩანაცვლად თუ არა სხვა სესხით, „არსებითად“ განსხვავებული პირობებით. კომპანია ატარებს რაოდენობრივ და თვისებრივ ტესტებს. რაოდენობრივი ტესტის ფარგლებში, კომპანია ანგარიშობს ხომ არ არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ახალი პირობების ფარგლებში ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება 10%-ზე ნაკლები, რაც განსხვავდება თავდაპირველი სესხის საბალანსო ღირებულებისგან. თუ ცვლილება 10%-ზე ნაკლებია, რაოდენობრივი ტესტის საფუძველზე ცვლილება არაარსებითია.

კომპანია ასევე ატარებს თვისობრივ ტესტს, რაც მოიცავს ანალიზს იმისა, ხომ არ არის პირობების ცვლილება იმდენად ფუნდამენტალური, რომ საჭიროა აღიარების სასწრაფოდ შეწყვეტა. ფუნდამენტალური ცვლილებები მოიცავს ცვლილებებს სესხის ვალუტაში, სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ფიქსირებულიდან ცვალებადზე ან პირიქით, ან კაპიტალის კონვერტაციის ფუნქციას

სესხის „არსებითი“ ცვლილება ან მისი ჩანაცვლება „არსებითად“ განსხვავებული პირობებით აღირიცხება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახით. ეს მოქმედებს თავდაპირველი სესხის აღიარების შეწყვეტაზე და ახალი ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებაზე. ეს მოქმედებს პირდაპირ გავლენაზე მოგებაზე ან ზარალზე, თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და ახალი ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის გამო (ნებისმიერი გადახდილი ფულადი სახსრების ან გადაცემული არაფულადი აქტივების გათვალისწინებით).

თუ ცვლილება არაარსებითია, კომპანია არსებულ სესხს ახალი პირობებით და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს ანგარიშგების თარიღში, რომელიც განისაზღვრება შეცვლილი ფულადი ნაკადების და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში ფასდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით. შვილობილ კომპანიების სააქციო კაპიტალის შემცირება ფულადი სახსრების და სხვა გადახდების სანაცვლოდ აღირიცხება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის შემცირების სახით. შვილობილ კომპანიების მიერ გაცხადებული დივიდენდები აღიარდება შემოსავლად იმ თარიღში, როდესაც კომპანია უფლებამოსილია ამგვარად იმოქმედოს.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. ამ დანახარჯებში ასევე შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

უმნიშვნელო შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთა გამოითვლება აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე დარიცხვის წრფივი მეთოდით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობები	14-20 წელი
ინფრასტრუქტურა და საწარმოო იარაღები	6-20 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10-20 წელი
ტრანსპორტი	10 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-7 წელი

ამასთან, კომპანიის საწარმოო ერთეულებს სჭირდებათ კატალიზატორები, რომლებიც ეხმარება მათ ქიმიური ნაერთების სინთეზში, უკეთესი წმენდის მიზნით. კატალიზატორის მოწყობილობები მდიდრდება ქარხნის გეგმიური ყოველწლიური სარემონტო სამუშაოების პარალელურად. კომპანია კატალიზატორის დანახარჯებს აღრიცხავს ძირითად საშუალებებად და ამოწურვის ხარჯს წინასწარ აფასებს ფაქტობრივი ამოწურვის ისტორიულ და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში, იმავე წელში, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის გაუფასურების დასადგენად მისი წლიური შემოწმება საჭირო, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის განცალკევებულ ანგარიშგებაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

არაფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ამგვარი შემობრუნება აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალი განცალკევებულ ანგარიშგებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საოპერაციო იჯარა

როდესაც აქტივები საოპერაციო იჯარით გაიცემა, მისაღები საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება იჯარიდან შემოსავლად წრფივი მეთოდით იჯარის მთელ პერიოდზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულებების რეზერვი და რეზერვის დარიცხვა

ვალდებულებების რეზერვები და სარეზერვო დანარიცხები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება სესხის დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღ-ის ჩათვლით. დღ შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების მუხლში, მოგების გადასახადის გარდა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება წმინდა საკურსო ზარალის ან შემოსულობის მუხლის მოგებაში ან ზარალში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად იყო 2.8766 და 2.6766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საიჯარო შემოსავალი

ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია

გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები და პრემიები ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა მოცემულია ქვემოთ:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „საქმიანობის განსაზღვრა“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IAS) 1-სა და ფასს (IAS) 8-ში: „ტერმინის „არსებითი“ განმარტება“;
- ▶ ფასს (IFRS) 9, ფასს (IAS) 39 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება: „საპროცენტო განაკვეთის შედარების რეფორმა“;
- ▶ ფასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია“.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ყურდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

სასამართლო დავები

კომპანია მეტწილად თავისი სუბიექტური განსჯის საფუძველზე აფასებს და აღიარებს ანარიცხებს და მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით პირობითი ვალდებულებების ან მორიგების საფუძველზე სხვა ასანაზღაურებელი მოთხოვნების, შუამავლობისა თუ არბიტრაჟის რისკების მოცულობას, და სხვა პირობით ვალდებულებებს. განსჯის გამოყენება აუცილებელია მოთხოვნის დაკმაყოფილების ან ვალდებულებების წარმოშობის ალბათობის შეფასებისთვის, ასევე საბოლოო გადასახდელი თანხის მიახლოებით განსაზღვრისთვის. შეფასების ამ პროცესისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის გამო, ფაქტობრივი ზარალი შეიძლება განსხვავდებოდეს წინასწარ შეფასებული რეზერვის მოცულობისგან. ეს წინასწარი შეფასებები ექვემდებარება ცვლილებას, როდესაც ახალი ინფორმაცია ხდება ცნობილი. შეფასებების გადასინჯვამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სამომავლო საოპერაციო შედეგებზე (მე-11 შენიშვნა).

შვილობილი კომპანიის მიმართ დებიტორული დავალიანების ანაზღაურებადობა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შვილობილი კომპანიის მიმართ ამ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით შეაფასა, როგორც არაარსებითი, დებიტორული დავალიანების მოკლევადიანი ხასიათის და ანაზღაურების ხელმისაწვდომი საშუალებების გათვალისწინებით, შვილობილი კომპანიის მიერ კომპანიაში გადახდილი საიჯარო ავანსების ურთიერთგაქვითვის გზით (მე-7 შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

თავდებობის ანარიცხის შეფასება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს 28,919 ლარს (2018 წ.: 26,993 ლარი) ანარიცხებს შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების სასარგებლოდ გაცემული გარანტიისთვის (მე-11 შენიშვნა). კომპანიამ კომერციული ბანკისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ამ გარანტიით გათვალისწინებული დანარჩენი თანხების ამოღებას დააპირებს, იგი ამ თანხების დაფარვას 6-წლიან პერიოდზე გადაანაწილებს. ვინაიდან წერილი არ არის იურიდიული ძალის მქონე, კომპანია აგრძელებს გარანტიის აღრიცხვას მიმდინარე ვალდებულებად; თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფაქტობრივი გადახდები გადავადდება 6-თვიანი პერიოდის განმავლობაში, რაც ასახულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თავდებობის შეფასებაში (მე-2 შენიშვნა).

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2019 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა	შენობები	საწარმოო იარაღები და ინფრასტრუქტურა	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ტრანსპორტი	ავეჯი და მოწყობილობები	კატალიზატორები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება									
2018 წლის 31 დეკემბერს	18,845	18,024	11,116	85,800	6,816	1,031	8,579	7,061	157,272
გასვლები	-	-	-	-	(16)	-	(3,809)	-	(3,825)
პირვანდელი ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბერს	18,845	18,024	11,116	85,800	6,800	1,031	4,770	7,061	153,447
დაგროვილი ცვეთა, ამოწურვა და გაუფასურება									
2018 წლის 31 დეკემბერი	-	2,308	3,889	12,383	1,577	435	2,331	-	22,923
ცვეთის და ამოწურვის დანარიცხი	-	990	1,668	5,365	681	186	2,553	-	11,443
გასვლები	-	-	-	-	(3)	-	(3,809)	-	(3,812)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	3,298	5,557	17,748	2,255	621	1,075	-	30,554
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2018 წლის 31 დეკემბერი	18,845	15,716	7,227	73,417	5,239	596	6,248	7,061	134,349
2019 წლის 31 დეკემბერი	18,845	14,726	5,559	68,052	4,545	410	3,695	7,061	122,893

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2018 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა	შენობები	საწარმოო იარაღები და ინფრასტ- რუქტურა	მანქანა- დანადგარ- ები და აღჭურვი- ლობა	ტრანს- პორტი	ავიჯი და მოწყობი- ლობები	კატალი- ზატორები	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	18,845	18,024	11,116	85,800	6,746	1,031	12,415	27,988	181,965
შესყიდვები	-	-	-	-	-	-	-	70	70
გასვლები	-	-	-	-	-	-	(3,836)	-	(3,836)
შენატანი შვილობილ კომპანიაში	-	-	-	-	-	-	-	(20,927)	(20,927)
გადატანები	-	-	-	-	70	-	-	(70)	-
პირვანდელი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	18,845	18,024	11,116	85,800	6,816	1,031	8,579	7,061	157,272
დაგროვილი ცვეთა, ამოწურვა და გაუფასურება									
2017 წლის 31 დეკემბერი	-	1,318	2,221	7,018	899	247	3,078	-	14,781
ცვეთის და ამოწურვის დანარიცხი	-	990	1,668	5,365	678	188	3,089	-	11,978
გასვლები	-	-	-	-	-	-	(3,836)	-	(3,836)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	2,308	3,889	12,383	1,577	435	2,331	-	22,923
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2017 წლის 31 დეკემბერი	18,845	16,706	8,895	78,782	5,847	784	9,337	27,988	167,184
2018 წლის 31 დეკემბერი	18,845	15,716	7,227	73,417	5,239	596	6,248	7,061	134,349

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელ მშენებლობაში შედის შარდოვანას (კარბამიდის) გრანულირების ქარხანა 20,927 ლარის და ტექნიკური სათადარიგო ნაწილები - 7,061 ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში, მოხდა შარდოვანას (კარბამიდი) გრანულირების ქარხნის შეტანა შვილობილ კომპანიაში.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მთლიანად იყო დაგირავებული ქართული ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად (მე-9 შენიშვნა).

7. სხვა დებიტორული დავალიანებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	4,322	3,986
სხვა დებიტორული დავალიანებები	25,016	-
სულ სხვა დებიტორული დავალიანება, მთლიანი	29,338	3,986
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით	(4,322)	(3,986)
სულ სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	25,016	-

კომპანიის სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. სხვა დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

სხვა დებიტორულ დავალიანებებში შესულია მოთხოვნები შვილობილი კომპანიის მიმართ, კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე, რის საფუძველზეც 2019 წელს შვილობილმა კომპანიამ კომპანიისგან 25,016 ლარად შეიძინა საკუთარი 38,134 აქცია და გააუქმა ის გარიგების დასრულებისთანავე. შესაბამისად, შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების თანხა 25,016 ლარით შემცირდა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,815 ლარი (2018 წ.: 32,831 ლარი) შეადგინა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფორმით ანგარიშსწორება არ მომხდარა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღიარებული აქვს 4,322 ლარის და 25,016 ლარის საიჯარო და სხვა დებიტორული დავალიანება, რომელიც უკავშირდება შემოსავალს, რომელიც, თავის მხრივ, არ ექცევა ფასს (IFRS) 15-ის არეალში (2018 წ.: 3,986 ლარის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები).

იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში შესულია დებიტორული დავალიანება „რუსთავის აზოტის“ მიმართ ძირითადი საშუალებების იჯარისთვის. საიჯარო ხელშეკრულება 2016 წლის ბოლოს შეწყდა. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები გაუფასურებული და სრულად დარეზერვებული იყო.

კომპანიას სჯერა, რომ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების აღიარება გამოიწვევს მოთხოვნებს შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების მიმართ. 2018 წლის 7 დეკემბერს კომპანიამ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელი და მოითხოვა შპს „რუსთავი აზოტზე“ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკისრება და ფულადი ვალდებულებების შესრულება. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ არ არსებობს მოთხოვნილი თანხის ამოღების მაღალი ალბათობა, კომპანიამ სრულად უზრუნველყო ეს მოთხოვნები 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვში შემდეგი ცვლილებები მოხდა:

	იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
2017 წლის 31 დეკემბერი	3,838
შემობრუნება	148
2018 წლის 31 დეკემბერი	3,986
დანარიცხი	336
2019 წლის 31 დეკემბერი	4,322

8. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 100 გამოშვებული აქციისგან, რომელთაგან ყველა სრულად არის განაღდებული. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.001 ლარია.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისე, რომ მან შესძლოს აქციონერებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

2019 და 2018 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. ნასესხები სახსრები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური ინსტიტუტისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ფიქსირებულგანაკვეთიან აშშ დოლარში გამოხატულ სესხს 246,902 ლარის (2018 წ.: 237,478 ლარი) ოდენობით, საიდანაც 19,561 ლარი (2018 წ.: 20,010 ლარი) მოკლევადიანი, ხოლო 227,361 ლარი (2018 წ.: 217,467 ლარი) - გრძელვადიანი წილია. სესხების დაფარვის ვადა 4 წელიწადში იჭურება (2018 წ.: 5 წელი).

სესხებ ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან არ ჰქონდათ ფინანსური ვალდებულებები/პირობები.

ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით 2019 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯი 26,559 ლარი (2018 წ.: 23,958 ლარი) აღიარებულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	<i>ნასესხები სახსრები</i>
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	236,197
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	8,247
სესხების დაფარვა	(6,861)
პროცენტის დარიცხვა	23,958
პროცენტის გადახდა	(24,064)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	237,477
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	17,260
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან	5,345
სესხების დაფარვა	(17,675)
პროცენტის დარიცხვა	26,559
პროცენტის გადახდა	(22,064)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	246,902

10. წმინდა საკურსო ზარალი

საკურსო ზარალის მთლიანი ოდენობა, რომელიც აღიარებულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში შეადგენს 18,840 ლარს (2018 წ.: 8,870 ლარი) და მოიცავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ წმინდა საკურსო ზარალს 17,260 ლარის (2018 წ.: 8,247 ლარი) (მე-9 შენიშვნა) ოდენობით და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ წმინდა საკურსო ზარალს 1,580 ლარის (2018 წ.: 623 ლარი) ოდენობით.

11. პირობითი ვალდებულებები

გაცემული გარანტიები

კომპანიამ გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულება შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონტროლის ქვეშ არსებული ერთეულების გარკვეული სესხების უზრუნველსაყოფად (1-ლი შენიშვნა). გარანტია გაცემულია კომერციული ბანკის სესხზე მთლიანი ღირებულებით 56,721 ლარი (19,718 ათასი აშშ დოლარი). 2017 წლის ნოემბრის თვეში, კომერციულმა ბანკმა წამოიწყო სასამართლო საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში, შპს „რუსთავი აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების და კომპანიის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვდა სესხის დაფარვას, დარიცხულ პროცენტთან და ჯარიმებთან ერთად, ასევე უზრუნველყოფის საგნების იპოთეკის და გირაოს აღსრულებას. 2018 წლის თებერვალში, კომერციულმა ბანკმა კომპანიას დაურიცხა 1.232 ლარი (0,5 მილიონი აშშ დოლარი). შესაბამისი თანხა კომპანიამ გადაიხადა 2018 წლის 6 თებერვალს (1-ლი შენიშვნა). გაცემული თავდებობის ანარიცხი შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებების და დარიცხვების ანარიცხებში, ხოლო შესაბამისი დანარიცხი და შემობრუნება აღიარებულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განცალკევებულ ანგარიშგებაში ფინანსური თავდებობის ანარიცხის შემობრუნების/(დარიცხვის) სახით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

დავა შპს „რუსთავის აზოტის“ დაინტერესებულ მხარეებთან

კომპანია ასევე თანამოპასუხეა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი აქციონერების კრედიტორების მიერ შპს „რუსთავი აზოტის“ აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებით წამოწყებულ სასამართლო წარმოებაში. დავის საგანია კერძო აუქციონის (თარიღი: 2016 წლის 1 სექტემბერი) შედეგების გაუქმება, რომლითაც კომპანიამ შეიძინა შპს „რუსთავი აზოტი“, აღადგინა საკუთრების უფლება და მიიღო ზიანის ანაზღაურება 269.169 ლარის (93,572 აშშ დოლარი) ოდენობით. კომპანიის აქციონერებს სჯერათ, რომ აქტივების შეძენა მოხდა აუქციონზე, რომელიც ჩატარდა კანონმდებლობის შესაბამისად და ამგვარად სს „EU Investments“ არის აქტივების კანონიერი მფლობელი. შესაბამისად, კომპანიის აქციონერებს მიაჩნიათ, რომ სარჩელი უსაფუძვლო, დაუსაბუთებელია და მისი გამარჯვების მცირე შანსი არსებობს.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

12. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფული ბანკში 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს და სამ თვემდე თავდაპირველი ვადის მქონე მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

გაცემული სესხები

2016 წელს კომპანიამ გასცა სესხი შპს „რუსთავის აზოტისთვის“, რომლის საპროცენტო განაკვეთი იყო 18.5%, ხოლო დაფარვის თარიღი 2017 წლის 2 ივნისი. 2018 წლის ნოემბერში, კომპანიამ მოითხოვა შპს „რუსთავის აზოტისთვის“ სესხის ვალდებულების დაკისრება და 2019 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „რუსთავის აზოტს“ დაეკისრა საკრედიტო ვალდებულებების ანაზღაურება.

თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ არ არსებობს მოსაკრებლის მიღების მაღალი ალბათობა, კომპანიამ სრულად მოახდინა 201* წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,052 ლარის ოდენობით (2018 წ.: 4,701 ლარი).

სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც წარმოდგენილია განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხდება შეფასების მეთოდით, რომლის დროსაც გამოიყენება აქტიურ ბაზრის ფასები და მონაცემები.

არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას, რომელიც 246,902 ლარს შეადგენს, 15,800 ლარით აღემატება (2018 წ.: ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება 237,478 ლარის ოდენობით მის სამართლიან ღირებულებას 4,714 ლარით აღემატება) (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე).

ხელმძღვანელობის შეფასებით, ბანკში ნაღდი ფულის, სხვა დებიტორული დავალიანების და სავაჭრო კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე) მათ საბალანსო ღირებულებებს უახლოვდება, მეტწილად ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	10,053	30,251	270,798	–	311,102
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	765	–	–	–	765
სულ მომავალი გადახდები	10,818	30,251	270,798	–	311,867

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	9,333	28,233	147,727	167,567	352,860
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	680	–	–	–	680
სულ მომავალი გადახდები	10,013	28,233	147,727	167,567	353,540

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკო წარმოიშობა აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრებიდან.

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2019	გავლენა მოგებაზე 2019
აშშ დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში	10.00%	(24,690)
აშშ დოლარის გაუფასურება ლართან მიმართებაში	–5.00%	12,345

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2018	გავლენა მოგებაზე 2018
აშშ დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში	11.00%	(26,123)
აშშ დოლარის გაუფასურება ლართან მიმართებაში	–11.00%	26,123

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული მთლიანი ფულადი სახსრებიდან 180 ლარის (2018 წ.: 52 ლარი) ოდენობით განთავსებული იყო Standard & Poor'-ის „BB-/bb-“ რეიტინგის, Moody's-ს „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC) და Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული „BB-/bb-“ რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სხვა დებიტორული დავალიანება (იხილეთ მე-7 შენიშვნა);
- ▶ გაცემული სესხები;
- ▶ 56,721 ლარის (19,718 ათასი აშშ დოლარი) მაქსიმალური მოცულობით გაცემული ფინანსური გარანტიები (მე-11 შენიშვნა).

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

13. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

კომპანიის ბენეფიციალური მფლობელები არიან კომპანიის დირექტორები. ბატონი ევგენი ურუმაშვილი კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას შვილობილი კომპანიისგან აქვს სხვა დებიტორული დავალიანების დაუფარავი ნაშთები 25,016 ლარის ოდენობით, რომელიც აქციების გაყიდვის ოპერაციიდან წარმოიქმნება (მე-7 შენიშვნა).

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა შვილობილი კომპანიისგან საიჯარო ძირითადი საშუალებებისთვის მიღებული ავანსების დაუფარავი ნაშთები 37,790 ლარის ოდენობით (2018 წ.: 22,599 ლარი) (1-ლი შენიშვნა).

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შვილობილი კომპანიისგან ასევე იყო იჯარიდან შემოსავალი 23,094 ლარის ოდენობით (2018 წ.: 20,670 ლარი).

დირექტორების ანაზღაურება

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში შედიან კომპანიის დირექტორები და კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი. სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი ხელმძღვანელებისთვის გადახდილი შრომის ანაზღაურება შედგება ხელფასისა და წამახალისებელი პრემიისგან.

14. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის იანვარში კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა შვილობილ კომპანიასთან, რომლის საფუძველზე, შვილობილი კომპანიის მიერ კომპანიისთვის ამ საიჯარო ურთიერთობის ფარგლებში 2018 წლის 1 იანვრის (ხელშეკრულების თარიღი) მდგომარეობით გადახდილი თანხა 38,150 ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს შვილობილი კომპანიის მიერ კომპანიისთვის გაცემულ სესხად წლიური 5%-იანი განაკვეთით. კომპანია და შვილობილი კომპანია შეთანხმდნენ 25,016 ლარის ოდენობით სესხის ნაწილის გაქვითვაზე შვილობილი კომპანიის სხვა დებიტორული დავალიანების სანაცვლოდ.

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

კომპანიის ხელმძღვანელობა კორონავირუსის (კოვიდ-19) აფეთქებას აფასებს, როგორც ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად, რომლის ნდობის სათანადო ხარისხით შეფასდება მოცემული მომენტისთვის შეუძლებელია.

2020 წლის 16 ივნისს, შპს „რუსთავის აზოტის“ აქციონერებთან დავასთან დაკავშირებით, მოსამართლემ გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ მიიღო და არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა არცერთი მოთხოვნა.

სს „EU Investments“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის



შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა	2
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	2
2. საოპერაციო გარემო.....	2
3. საქმიანობის მიმოხილვა	2
4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები.....	2
არაფინანსური ანგარიში	3
5. არაფინანსური მაჩვენებლები.....	3
6. გარემოსდაცვითი საკითხები	3
7. საკადრო პოლიტიკა	3
8. განვითარების გეგმები	3
9. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია	3

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „EU Investments“-ის მენეჯმენტსა და მფლობელებს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 30 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 6 ოქტომბერი

საქმიანობის მიმოხილვა

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „EU Investments“ („კომპანია“) 2016 წლის 10 აგვისტოს დარეგისტრირდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405161792. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ძირითადი საშუალებების გაქირავება საოპერაციო ლიზინგის პირობით მის დაკავშირებულ მხარეზე, სს „რუსთავის აზოტზე“, რომელიც აწარმოებს მინერალურ სასუქებისა და ინდუსტრიულ ქიმიკატებს. კომპანიის ძირითადი აქტივია რუსთავში მდებარე რუსთავის აზოტის ქარხანა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია მშვიდობის ქუჩა 2, რუსთავი, საქართველო.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ბ-ნი ევრემ ურუმაშვილი კომპანიის აქციების 99% -ის მფლობელი და იოსებ გოზალიშვილი კომპანიის აქციების 1% -ის მფლობელი.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოს ქალაქ რუსთავში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განვითარებული საკრედიტო და საფონდო ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას (ახალი საგადასახადო კოდექსის და საპროცესო კანონების ჩათვლით). ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

3. საქმიანობის მიმოხილვა

2016 წლის 1 სექტემბერს კომპანიამ საჯარო აუქციონზე შეისყიდა შპს „რუსთავის აზოტის“ ყველა ხელშესახები აქტივი (რუსთავის აზოტის ქარხნის მარაგები და ძირითადი საშუალებები). კომპანიის საქმიანობა სწორედ აღნიშნული ძირითადი საშუალებების გაქირავებაა საოპერაციო ლიზინგის პირობით მის დაკავშირებულ მხარეზე, სს „რუსთავის აზოტზე“.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

სს „EU Investments“-ის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საიჯარო შემოსავლები გაცემული საოპერაციო იჯარიდან. 2019 წლის განმავლობაში საიჯარო შემოსავლები 12%-ით, ხოლო კომპანიის ზარალი 35%-ით გაიზარდა.

კომპანიის აქტივების 79%-ს შეადგენს ძირითადი საშუალებები 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით.

არაფინანსური ანგარიში

5. არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიას არ ოპერირებს თავისი აქტივებით, მას გადაცემული აქვს ისინი გრძელვადიანი იჯარით თავისი შვილობილი კომპანიისთვის, რომელიც ახდენს ოპერირებას. შესაბამისად სხვა არაფინანსური მაჩვენებლები კომპანიას არ გააჩნია.

6. გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია არ ოპერირებს თავისი აქტივებით, ისინი გადაცემულია გრძელვადიანი იჯარით მისივე შვილობილ კომპანიაზე სს „რუსთავის აზოტზე“. შესაბამისად გარემოსდაცვითი საკითხები და რისკები მას არ ეხება.

7. საკადრო პოლიტიკა

კომპანიაში დასაქმებული ორი თანამშრომელი, ეფრემ ურუშაშვილი (გენერალური დირექტორი) და იოსებ გოზალიშვილი (აღმასრულებელი დირექტორი), რომლებიც ასევე მისი დამფუძნებლები არიან 99% და 1% წილების მფლობელები შესაბამისად. კომპანიას სპეციფიური საკადრო პოლიტიკა არ გააჩნია.

8. განვითარების გეგმები

სს „EU Investments“-ის ოპერირებისა და განვითარების გეგმებს განაგებს სს „რუსთავის აზოტი“. სს „EU Investments“ წარმოადგენს მხოლოდ ჰოლდინგურ კომპანიას.

9. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 6 ოქტომბერს:



იოსებ გოზალიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი